ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

Nationalism and Ethnicity Studies

2) მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრი
MA in Nationalism and Ethnicity Studies

3) სამაგისტრო პროგრამის თანახელმღვანელები:

ზურაბ დავითაშვილი საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება.

ნინო ჩიქოვანი კულტურის მეცნიერებათა პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის მეცნიერებათა მიმართულება

4) სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზნები და ამოცანები

მიზანი: სამაგისტრო პროგრამა ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევებში ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც იცნობენ ნაციონალიზმის და ეთნიკურობის ძირითად თეორიულ მიდგომებს, ისტორიის, კულტუროლოგიის, ეთნოლოგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს, აგრეთვე ნაციონალიზმთან და ეთნიკურობასთან დაკავშირებულ თანამედროვე პრობლემებს.

სტუდენტი უნდა დაეუფლოს აგრეთვე ემპირიული კვლევის _ მასალის თავმოყრისა და ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მას საშუალება ეძლევა, ინდივიდუალური საკვლევი თემა და შესაბამისი გეგმა პრაქტიკულად შეუსაბამოს სამაგისტრო პროგრამას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების საბოლოო დახვეწისა და განმტკიცების მიზნით შემუშავებული სავალდებულო კურსები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას მისცემს, სამეცნიერო ხელმძღვანელთან გავლილი კონსულტაციების გარდა, დახვეწოს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და სახე.

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განამტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები.

ბუნებრივია, წახალისებული იქნება სამაგისტრო ნაშრომების თემად ქართული და კავკასიური პრობლემატიკის, ასევე მსგავს რეგიონებთან შედარებითი შესწავლის ფარგლებში შესრულებული კონკრეტული კვლევები, რომელზე მუშაობის პროცესში სტუდენტი

გამოიყენებს შეძენილ თეორიულ ცოდნას, ემპირიული მასალის მოძიებისა და ანალიზის ხერხებს, ნაშრომი კი ორიგინალური და კვლევითი ხასიათისა იქნება.

შედეგი: პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეეძლება კვლევის მეთოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და, ამის საფუძველზე, პროცესების ანალიზი; ამ უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. მაგისტრებს ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სფეროში შეუძლიათ კვლევის ჩატარება და ანალიტიკური სამუშაოს შესრულება მრავალი მიმართულებით. მათი სპეციალიზაციის სფეროები მოიცავს პოლიტიკურ მეცნიერებებს, საერთაშორისო ურთიერთობებს, ისტორიას, კულტურის მეცნიერებს, ეთნოლოგიას, სოციოლოგიას, სამართლისმცოდნეობას და სხვ.

დასაქმების სფეროები: პროგრამა ამზადებს სტუდენტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევათა სფეროში. მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას ეთნოსთაშორის ურთიერთობათა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის, კულტურის პოლიტიკის, ეთნოკონფლიქტების საფუძვლების იდენტიფიკაციის სფეროებში.

გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, მაგისტრის ხარისხის მქონეს შეუძლია სწავლის გაგრძელება სხვადასხვა სადოქტორო პროგრამაზე, მონაწილეობა მოკლევადიან სასწავლო და კვლევით პროგრამებში.

5. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევებში მაგისტრატურაში მისაღებად სტუდენტს ბაკალავრის ხარისხი სასურველია მიღებული ჰქონდეს სოციალურ-პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ ან იურიდიულ ფაკულტეტებზე.

2. პროგრამაზე მიღებისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანასწორი უფლებებით (სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობის, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების და ა.შ. მიუხედავად).

3. პროგრამაზე მისაღებად სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არაა.

პროგრამაზე მიღებისას გამოცდა უნდა ჩატარდეს აუცილებლად წერითი სახით (ტესტი და ესე).

4. მაგისტრანტს მოეთხოვება, სულ მცირე, ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა, რომელშიც უნდა ჩატარდეს საკვალიფიკაციო გამოცდა.